

სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ

რუსეთის ინტერესების გამტარებელი ბაშარ ალ-ასადის მთავრობის მიერ, საელჩოების დონეზე, ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ე.წ. დიპლომატიური კავშირის დამყარებას და ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას, აშშ, ევროკავშირის და დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი რეაქცია მოყვა.

კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილემ ელიზაბეტ რუდმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ქართული რეგიონების დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ცნობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევად აფასებს და მოუწოდებს სირიას, რუსეთს და სხვა ქვეყნებს გააუქმონ ამ ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება (<http://businesscont.com/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95/>).

ევროკავშირი მიიჩნევს, რომ სირიის რეჟიმის გადაწყვეტილება, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, არღვევს საერთაშორისო სამართალს და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, რომელიც განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით (<https://1tv.ge/news/evrokavshiri-siriis-redjimis-mier-saqartvelos-okupirebuli-regionebis-damoukidebel-sakhelmwifoebad-aghiarebas-gmobs/>).

შეგახსენებთ, რომ სირიამ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა 29 მაისს აღიარა. როგორც სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, **სირიის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აგრესიის დროს მათი მხარდაჭერის გამო**, სირიის არაბული რესპუბლიკა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მარიონეტულ მთავრობასთან შეთანხმდა ურთიერთაღიარებასა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე საელჩოების დონეზე (<https://day.kyiv.ua/ru/news/290518-siriya-priznala-nezavisimost-nepriznannyh-respublik-abhaziya-i-yuzhnaya-osetiya>).

ზემოაღნიშნულის და ექსპერტ-ანალიტიკოსების მიერ შემოთავაზებული ვერსიების მიუხედავად, აღნიშნული ე.წ. აღიარების განხილვა უნდა მიმდინარეობდეს კომპლექსურად. გათვალისწინებულ უნდა იქნას ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები, რომლებიც წინ უძღოდა ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას და ე.წ. დიპლომატიური კავშირების დამყარებას.

მოცემული საკითხის განხილვისას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით 2016 წლის შემდეგ) მკვეთრად გაუარესებულია შიდაპოლიტიკური ვითარება, რასაც ემატება დამძიმებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას რეიტინგის მკვეთრი ვარდნა.

არსებული მარიონეტული რეჟიმით უკმაყოფილო აფხაზური საზოგადოება მედიაში და განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში უკვე ღიად გამოთქვამს კრიტიკას. ხშირია საუბარი რაულ ხაჯიმბას გადაყენების მოთხოვნით მოსალოდნელ საპროტესტო აქციებზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში შიდა დამაბულობის და საზოგადოების გახლეჩის მიზეზების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, ე.წ. პასპორტიზაციის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული არაკომერციული უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების, ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვის, გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაციისა და ქალთა და ბავშვთა უფლებების უხემ დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები.

2018 წლის დასაწყისი აღინიშნა საპროტესტო გამოსვლების მძლავრი ტალღით, რომელიც მოყვა ოკუპირებულ აფხაზეთში გიორგი ლუკავას გათავისუფლებას და ქართული მხარისთვის გადაცემას.

შეგახსენებთ, რომ 25 დეკემბერს დრანდის ციხიდან გაათავისუფლეს და ქართულ მხარეს გადმოსცეს 51 წლის გიორგი ლუკავა, რომელსაც ოკუპირებულ აფხაზეთში პარტიზანულ დაჯგუფება “ტყის ძმებთან” კავშირში, ტერორისტული ხასიათის დანაშაულებში სდებდნენ ბრალს და 20-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, საიდანაც გაათავისუფლების დროისათვის 7 წელზე ნაკლები ჰქონდა მოხდილი.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ოპოზიციამ მხარდამჭერებთან ერთად გიორგი ლუკავას გაათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიტინგები წამოიწყო. მართალია, მაშინ დე-ფაქტო ხელისუფლებამ შეძლო დაემშვიდებინა საზოგადოება ე.წ. კონსტიტუციური სასამართლოს ფორმირებით, მაგრამ მოცემული საკითხის დარეგულირება ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული ე.წ. საპროტესტო გამოსვლების დროს გამოიკვეთა ახალი ე.წ. ოპოზიციური ლიდერი, ყოფილი ე.წ. შს მინისტრი, ამჟამად კი ე.წ. დეპუტატი რაულ ლოლუა, რომელიც გამოირჩევა მკვეთრი განცხადებებით არსებული დე-ფაქტო ხელისუფლების მიმართ.

აფხაზურ საზოგადოებაში მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია ოკუპირებული ქ. სოხუმის ე.წ. საკრებულოს თავმჯდომარის ინტერვიუმ, რომელშიც ის გამოდის წინადადებით, რომ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა მიეცეთ ქ.სოხუმში მშენებარე ბინების შეძენის უფლება.

ამავე ინტერვიუში, კონსტანტინე ფილია აცხადებს, რომ ყველას უნდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ არ საუბრობს (<https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180426/1023774315/piliya-prodazhe-zhilya-inostrancam.html>)

აფხაზურ საზოგადოებაში, კონსტანტინე ფილიას ინტერვიუ შეფასდა, როგორც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის შესახებ კანონის განხილვაზე მორატორიუმის მოხსნისთვის საზოგადოებრივი აზრის შემზადება.

აფხაზური საზოგადოების განსაკუთრებით მწვავე რეაგირება მოყვა ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ელჩის განცხადებას რუსეთ-საქართველოს 2011 წლის შეთანხმების, "ვაჭრობის მონიტორინგისა და საბაჟო ადმინისტრირების შესახებ", რეალიზების მიზნით სატრასტო ფონდის დაფუძნებასა და კონტრაქტის გაფორმებას. რუსმა დილომატმა გაკვირვება გამოთქვა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის „ზურგსუკან“ საქართველოსთან მსგავსი შეთანხმების გაფორმების გამო აფხაზურ საზოგადოებაში ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება ოკუპირებულ აფხაზეთს არანაირ ვალდებულას არ აკისრებს და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სუვერენიტეტს არანაირად არ ეხება (<http://abkhazinform.com/item/7401-aleksej-dvinyanin-rossijsko-gruzinskoe-tamozhennoe-soglashenie-ne-ushchemlyaet-abkhaziyu>).

ალექსეი დვინიანინის განმარტებების მიუხედავად, ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოების და პოლიტიკოსების ნაწილში სატრასტო ფონდის დაფუძნება და კონტრაქტის გაფორმება ოკუპირებული აფხაზეთის საქმეებში უხემ ჩარევად შეფასდა.

მძიმე სოციალური ვითარების შესახებ საუბრისას, მნიშვნელოვანია შევხვით ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ძველი პასპორტების ახლით შეცვლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც დღემდე მოუგვარებელია.

სახეზეა პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან არა აფხაზი ეროვნების მოქალაქეები ე.წ. ახალი პასპორტების აღებისას (გალის ქართველი მოსახლეობის პასპორტიზაციის საკითხი არ განიხილება).

საქმე ეხება ოკუპირებული აფხაზეთის 2005 წლის „მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლს, რომლის თანახმადაც პირს, რომელიც 1994 წლიდან 1999 წლამდე უწყვეტად არ ცხოვრობდა ე.წ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შეიძლება მიენიჭოს ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ე.წ. კანონამდე მოქმედებდა 1993 წელს მიღებული „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი, რომელშიც ეს შეზღუდვა არ არსებობდა.

სიტუაცია ძაბავს ის ვითარება, რომ ე.წ. ძველი პასპორტის „ახლით“ შეცვლაზე უარს ეუბნებიან აფხაზი ეროვნების ადამიანებსაც კი, რომელთაც სერიოზული საყოფაცხოვრებო პრობლემები ექმნებათ.

აგრეთვე, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გახშირდა სოციალურად დაუცველი უსახლკარო მოქალაქეების და ე.წ. ვეტერანების ახალ აშენებულ სახლებში უკანონოდ შეჭრის ფაქტები, რომელთა გამოსახლება ე.წ. მილიციის საშუალებით ხდება.

ზემოაღნიშნულს ემატება რაულ ხაჯიმბას საფუძველს მოკლებული და აბსურდული დაპირებები 2018 წლის საკურორტო სეზონის თაობაზე, რომელიც ე.წ. პრეზიდენტმა, 4 აპრილს, ქ. სოხუმში, საკურორტო სეზონთან დაკავშირებით ჩატარებულ გაფართოებულ თათბირზე გააჟღერა. მისი თქმით, ტურიზმი უნდა გახდეს ე.წ. სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის და მოქალაქეების საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილად და უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკური და სოციალური სფეროს ეფექტურ განვითარებას. რაულ ხაჯიმბამ დაამატა, რომ რუსეთში ტარდება მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, რაც გამოიწვევს უცხოელი ტურისტების რაოდენობის მკვეთრ ზრდას, ე.წ. ეკონომიკაში მნიშვნელოვან ფინანსურ შემოდინებებს და ოკუპირებული აფხაზეთი მზად უნდა იყოს მათ დასახვედრად (http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7577).

ინფორმაციისთვის, ქ.სოჭში გაიმართება მხოლოდ 4 შეხვედრა 15-დან 23 ივნისამდე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩამოსული გუნდების გულშემატკივრებს (შესაძლოა მხოლოდ მცირე ნაწილი) ოკუპირებული აფხაზეთის მონახულების სურვილი გაუჩნდეთ, რაც სავარაუდოდ, კარგად ესმით მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებს.

2018 წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებული მოლოდინების აბსურდულობაზე მეტყველებს რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევების ცენტრის (ВЦИОМ) მიერ, 14-21 მაისს, მიმდინარე წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა. გამოკითხვა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუს სახით 18 წლის ასაკს ზევით მოსახლეობას შორის. გამოკითხულთა რაოდენობამ შეადგინა 2 000 რესპონდენტი. კვლევების ცენტრის ინფორმაციით, ცდომილება არ აღემატებოდა 2%-ს.

29 მაისს, კვლევების ცენტრმა წარმოადგინა შედეგები, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების 37% გეგმავს ზაფხულში დაისვენოს ოკუპირებულ ყირიმში. გამოკითხულთა 31% აპირებს კავკასიის შავი ზღვისპირეთში (კრასნოდარის მხარე, სოჭი, ტუაფსე, აფშერონი და სხვა) ზაფხულის გატარებას. გამოკითხულთა შორის 21% საზღვარგარეთის საზღვაო კურორტებზე აპირებს დასვენებას. ამავე გამოკითხვის თანახმად, 2018 წელს, რესპონდენტები ზღვაზე დასვენებისას გეგმავენ (ერთ ადამიანზე გათვლით) დაახლოებით 44 000 რუბლის (1672 ლარი) დახარჯვას, რაც შარშანდელთან შედარებით 11%-ით მეტია (<https://wciom.ru/index.php?id=236&uid=9131>).

შედარებისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენების მსურველებს 7 დღით დასვენება 18 000-დან 40 000 რუბლამდე დაუჯდებათ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის პირველი ივნისიდან, ე.წ. ტურისტული სეზონის დაწყებიდან, ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ ავიაბილეთებთან და რკინიგზის ბილეთებთან ერთად შეიძინონ ე.წ. ერთიანი ბილეთი, რომელიც საშუალებას მიცემთ ქ.სოჭის აეროპორტიდან და ადლერის რკინიგზის სადგურიდან იმგზავრონ ოკუპირებული აფხაზეთის 5 ქალაქში. შედარებისთვის, 2017 წლის ოქტომბრისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში დასასვენებლად, ე.წ. ერთიანი ბილეთის სქემით ისარგებლა 1 403 ტურისტმა მაშინ, როდესაც ოკუპირებულ ყირიმში, ხსენებული ერთიანი სამგზავრო ბილეთით, ისარგებლა 170 593 ტურისტმა (<http://abkhaz-project.ru/po-edinomu-biletu-v-abkhaziu/>).

ზემოაღნიშნული მოწმობს, რაულ ხაჯიმბა თავისი უსაფუძვლო, პოპულისტური განცხადებებით ყველანაირად ცდილობს გვერდი აუაროს რეალობას, ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობა შეიყვანოს შეცდომაში და ამით გაიხანგრძლივოს ე.წ. ხელისუფლებაში ყოფნა.

გაისმის მოსაზრებები, თითქოს სირიამ ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა სეპარატისტულ რეგიონში სირიელი დევნილების მიღების გამო ოკუპირებული აფხაზეთისადმი მაღლიერების ნიშნად. ამ ვერსიის გამორიცხვა შესაძლებელია ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ოკუპირებულ აფხაზეთში 2016 წლისთვის რეგისტრირებული არის მხოლოდ 27 სირიელი დევნილი (<http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2016-god.php>)

აგრეთვე, საინტერესოა ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების დროც.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, ალიანსი განაგრძობს საქართველოს პრაქტიკულ და პოლიტიკურ მხარდაჭერას. მან აღნიშნა, რომ საქართველო, აუცილებელი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, ნატოს წევრი გახდება. მისი თქმით, საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა აუცილებელი პრაქტიკული საშუალება აქვს. აღნიშნულმა განცხადებამ მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია რუსეთში.

მოგვიანებით, 24-29 მაისს, პეტერბურგის 22-ე საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი (ПМЭФ 2018) ჩატარდა, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ადგურ არძინბას ხელმძღვანელობით აფხაზეთი დელეგაცია დაესწრო. ფორუმზე, აგრეთვე, იმყოფებოდა სირიის პარლამენტართა თხუთმეტკაციანი დელეგაციაც.

საქართველოს მიმართ პრაქტიკული და პოლიტიკური მხარდაჭერის შესახებ იენს სტოლტენბერგის განცხადებიდან პეტერბურგის 2018 წლის ეკონომიკური ფორუმის ჩატარებამდე, რაულ ხაჯიმბას მოსკოვში მოსალოდნელ ვიზიტზე არავინ არ საუბრობდა, რაც გვამლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სირიის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი სხვა არაფერს წარმოადგენს გარდა რუსეთის და მისი საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან საქართველოს მიმართ პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელება და მის მიზანს წარმოადგენს რუსეთის ინტერესების გამტარებელი სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების მხარდაჭერა და მათი პოზიციების გამყარება.

31.05.2018